ეგზისტენციალური შფოთვა და ეთნოცენტრიზმი: რელიგიური ლიდერებისადმი მორჩილების გზები პოსტსაბჭოთა საქართველოში

ნინო ანჩაბაძე

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში არასტაბილურობა, სოციო-ეკონომიკური, იდეოლოგიური ცვლილებები და „რელიგიური რენესანსი'' დაიწყო (Titarenko, 2008), რის შედეგადაც ჩამოყალიბდა შერწყმული ეთნო-რელიგიური იდენტობა (*Georgian National Identity, Conflict and Integration*, 2016). კვლევის მიზანია შეისწავლოს ეგზისტენციალური შფოთვისა და ეთნოცენტრიზმის კავშირი რელიგიური ლიდერებისადმი მორჩილებასთან, საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცდილების მოდერაციური როლის გათვალისწინებით. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდს და რეგრესიულ დიზაინს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 190-მა სრულწლოვანმა რესპონდენტმა, რომლებმაც ონლაინ რეჟიმში შეავსეს კითხვარები.

პრედიქტორი ცვლადების (ეგზისტენციალური შფოთვისა და ეთნოცენტრიზმის), კავშირის სანახავად შედეგის ცვლადთან (რელიგიური ლიდერების მიმართ მორჩილება), გამოყენებული იყო მრავლობითი რეგრესიული ანალიზი, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცდილების ქონის მოდერაციული ანალიზისათვის -ენდრიუ ჰეისის PROCESS Macro (Model 1).

ანალიზის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ეთნოცენტრიზმი დადებითად წინასწარმეტყველებს რელიგიური ლიდერების მიმართ მორჩილებას და, რომ ეს კავშირი ძლიერდება საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცდილების ქონის შემთხვევაში (B = 0.34, p = .024, R2 = .012; მოდელის საერთო R2 = .576). ჰიპოთეზის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადაც, ეგზისტენციალური შფოთვა წინასწარმეტყველებს რელიგიური ლიდერების მიმართ მორჩილებას, არ დადასტურდა (B= -0.013, p = .804), თუმცა მოდერაციულმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული ნულოვანი ეფექტი თაობათაშორისი განსხვავებებითაა გამოწვეული (ინტერაქციის ეფექტი: B = 0.41, p < .001, R2 = .035; მოდელის საერთო R2 = .510). კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცდილების მქონე ინდივიდებში ეგზისტენციალური შფოთვა დადებითად (B = 0.25, p = .007), ხოლო გამოცდილების არ მქონე ჯგუფში - უარყოფითად (B = -0.15, p = .026) წინასწარმეტყველებს მორჩილებას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური მორჩილების შესასწავლად

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მისი ფსიქოლოგიური მექანიზმები თაობებს შორის არსებითად განსხვავდება. მიღებული შედეგები სამეცნიერო სივრცეში აფართოებს გარდამავალ საზოგადოებებში ისეთი თეორიების გამოყენების არეალს, როგორებიცაა გაურკვევლობა-იდენტობის (Hogg & Adelman, 2013) და, რელიგიური იდენტობისა (Ysseldyk et al., 2010) და შიშის მართვის თეორიები (Greenberg et al., 1986).